ხელშეკრულება № 01022019001 (10.33/10/033)

ქ. თბილისი

7 თებერვალი 2019წ.

ერთის მხრივ, შპს „თბილსერვის ჯგუფი“, წარმოდგენილი დასუფთავების სამსახურის უფროსის დავით უკლებას სახით (საფუძველი: შპს „თბილსერვის ჯგუფი”-ს დირექტორის ბრძანება N02480 18.10.2016 წ.) შემდგომში წოდებული როგორც „მიმწოდებელი” და მეორის მხრივ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის გამგეობა (ს/კ 208204959) წარმოდგენილი გამგებლის კახაბერი ლაბუჩიძის სახით, შემდგომში წოდებული როგორც „შემსყიდველი”, ორივე ერთად კი მხარე/მხარეები ხელშეკრულების კონტექსტიდან გამომდინარე, საქართველოში მოქმედი კანონებისა და კომპანიის საქმიანობის მარეგულირებელი შიდა აქტების შესაბამისად, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი და საფუძველი

1.1. „მიმწოდებელი“ „შემსყიდველის“ მოთხოვნის საფუძველზე ახორციელებს საყოფაცხოვრებო ნარჩენის გატანის მომსახურების გაწევას „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს[1] ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით;

1.2. **CPV** კოდი: 90513000.

მუხლი 2. ხელშეკრულების პირობები

2.1 „მიმწოდებელი” ვალდებულია დროულად და ხარისხიანად მოემსახუროს „შემსყიდველს“.

2.2 „შემსყიდველი“ ვალდებულია ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში და განსაზღვრული პირობებით გადაუხადოს „მიმწოდებელს” მომსახურების ღირებულება.

მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1 „მიმწოდებელი” ვალდებულია:

3.1.1 დროულად და ხარისხიანად განახორციელოს 1.1 მუხლში აღნიშნული მომსახურება.

3.2 „მიმწოდებელს” უფლება აქვს:

3.2.1 ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში „შემსყიდველისაგან“ მოითხოვოს მომსახურების ღირებულების დროულად გადახდა.

3.2.2 „შემსყიდველისაგან“ მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვა.

3.3 „შემსყიდველი“ ვალდებულია:

3.3.1 ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში და პირობებით გადაუხადოს „მიმწოდებელს“ მომსახურების ღირებულება.

3.4 „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

3.4.1 მოითხოვოს „მიმწოდებლისგან“ უხარისხოდ გაწეული მომსახურების გამოსწორება.

3.4.2 მოითხოვოს „მიმწოდებლისგან“ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვა.

3.4.3 „მიმწოდებლის“ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში წერილობითი ფორმით ან ცხელი ხაზის მეშვეობით (ტელ: 2619050.) აცნობოს „მიმწოდებელს“;

3.5 მხარეები ვალდებულნი არიან დროულად და ჯეროვნად შეასრულონ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

მუხლი 4. ანგარიშსწორება და ხელშეკრულების ღირებულება

4.1. გასაწევი მომსახურების ღირებულება განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში.

4.2 საყოფაცხოვრებო ნარჩენის გატანის მომსახურების ღირებულება შეადგენს **2120** (ორი ათას ას ოცი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით.

4.3 ხელშეკრულების საფუძველზე საყოფაცხოვრებო ნარჩენის საერთო რაოდენობა და გაწეული მომსახურების ჯამური ღირებულება ფიქსირდება მხარეთა მიერ შედგენილ მიღება-ჩაბარების აქტში.

4.4 „მიმწოდებლის“ მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელისმოწერის უფლებამოსილ პირად განისაზღვროს შპს „თბილსერვის ჯგუფი”-ს თანამშრომელი კახაბერ ჩუბინიძე (პ/ნ 14001000663)

4.5 „შემსყიდველი“ ვალდებულია მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღისა ჩარიცხოს თანხა „მიმწოდებლის“ საბანკო ანგარიშზე.

მუხლი 5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტის წესი

5.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2019 წლის 15 მარტის ჩათვლით.

5.2 ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა მხარეებს არ ათავისუფლებთ ხელშეკრულების შეწყვეტამდე შესასრულებელი ვალდებულების შესრულების მოვალეობისაგან.

მუხლი 6. სადავო საკითხების მოგვარება

6.1. დამკვეთსა და შემსრულებელს შორის წინამდებარე ხელშეკრულების რეალიზაციისას წარმოშობილი სადავო საკითხები წესრიგდება მხარეთა შეთანხმებით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში სადავო საკითხს განიხილავს სასამართლო.

მუხლი 7. დასკვნითი დებულებები

7.1. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა მუხლი და დანართი წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

7.2. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა შეიძლება მოხდეს მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით, რომელიც უნდა იყოს წერილობითი. ზეპირ გარიგებებს ძალა არა აქვთ.

7.3. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია **ორი** თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე. ერთი ეგზემპლარი გადაეცემა დამკვეთს, ხოლო **ერთი**ეგზემპლარი ინახება შემსრულებელთან

საბანკო რეკვიზიტები:

შ.პ.ს “თბილსერვის ჯგუფი” მის: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი №67 საიდ. კოდი: 206267494 ს.ს "ლიბერთი ბანკი" ცენტრალური ფილიალი, ბანკის კოდი: LBRTGE22 ა.ა. № GE90LB0113172770216000	ისნის რაიონის გამგეობა მის. ქ. თბილისი, ნავთლუღის ქუჩა №8-1 საიდ. ოდი 208204959 ხაზინის ერთიანი ანგარიში კოდი **TRESGE22**

მიმწოდებელი

შპს „თბილსერვის ჯგუფი“

_____

დავით უკლება

შემსყიდველი

ისნის რაიონის გამგეობა

_____

კახაბერი ლაბუჩიძე

ISANI DISTRICT GOVERNMENT OF TBILISI CITY

Digitally signed by ISANI DISTRICT GOVERNMENT OF TBILISI CITY
Date: 2019.02.07 11:30:33 +04'00'

ქ. თბილისი

7 თებერვალი 2019 წ.

„ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე, ვადასტურებ, რომ ჩემი მონაწილეობა საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებულ საქმიანობაში არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის მომსახურების შესყიდვაზე, 2019 წლის 7 თებერვალს გაფორმებული №10.33/10/033 ხელშეკრულების შესრულების კონტროლსა და ზედამხედველობაზე განმახორციელებელი ფიზიკური პირი:

გამგეობის საორგანიზაციო
განყოფილების უფროსი

თამარ ნავროზაშვილი

ISANI DISTRICT
GOVERNMENT
OF TBILISI CITY

Digitally signed by ISANI DISTRICT GOVERNMENT OF TBILISI CITY
Date: 2019.02.07 11:30:46 +04'00'